ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის - შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურმა სამსახურმა შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”. დადგენილების მიღების საფუძვლად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ არ ითვალისწინებს ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულის ინსტიტუტს, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი ორგანულ კანონში მოხსენიებულია როგორც გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესში, ცვლილების განხორციელებამდე მოქალაქის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციაში ერთ-ერთი დოკუმენტის სახე იყო შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობა ან შუამდგომლობა. იმის გათვალისწინებით, რომ ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი-ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად დადგენილების პროექტის მომზადებას.

პროექტის ინიციატორი გახლავართ თავად, ხოლო ავტორი გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური პროგრამების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ივანე ცინცაძე. სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ნუკრი დუმბაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებლი: ირაკლი კუჭავა

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{1} მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.”

– ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^{2} მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: დ. ჩოხატაური, ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: *ივანე ცინცაძემ*

დ ა ს კ ვ ნ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის

№ 32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“ და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან - ნორმატიულ აქტში ცვლილების განხორციელება ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით, იგი იმ ნორმატიული აქტის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება. ასევე პროექტის სამართლებრივ საფუძველს წაროადგენს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“

იურიდიული სამსახურის უფროსი: თეა უჯმაჯურიძე